



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლელო“ - კიკეთის „იუნკერები“		
გუნდი	კიკეთის „იუნკერები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	მატჩი ჩანიშნული იყო 26/11/2021	მატჩის ადგილი	
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორი გიორგი ნოზაძე.	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
მომჩივანი	ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერი დიმიტრი ობოლაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 3 2.სანქციები გუნდის მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში	წითელი ბარათი	საითინგი ✓ სხვა
		თუ „სხვა“ აღწერეთ : ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის მომართვა	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	02/12/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ. ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი		კი	არა
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის მიმართვა		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ოზოლადის მომართვა.

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორმა გიორგი ნოზაძემ, განაცხადა, რომ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში მისი გუნდის თამაშაზე არგამოცხადების მიზეზი იყო 2 მოთამაშის კოვიდ ინფიცირების, 4 მოთამაშის ტრავმის ფაქტი და ზოგადად ასაკობრივი გუნდის პრობლემები მოთამაშეთა ვარჯიშზე/თამაშზე დასწრების შესახებ.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. ამა წლის 26 ნოემბერს, სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ა“ ლიგის კალენდარულ მატჩზე, თბ „ლელო“-სა და კიკეთის „იუნკერებს“ შორის, კიკეთის „იუნკერები“ არ გამოცხადდა თამაშზე.
2. სადისციპლინო კომისიის სხდომაზე კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორმა, გიორგი ნოზაძემ განმარტა თამაშზე არგამოცხადების მიზეზები.

კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორის გიორგი ნოზაძის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდში ჰყავდა 2 კოვიდ ინფიცირებული მოთამაშე, სადისციპლინო კომისიის მიერ არ იქნა მიჩნეული საპატიოდ, ვინაიდან :

- ✓ სრკ-ს მოქმედი „Covid 19-ის რეგულაციები კაცთა და ჭაბუკთა ლიგების რეგულარული ჩემპიონატებისთვის“ თამაშის გადადებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ კვირის განმავლობაში ინფიცირებულ მოთამაშეთა რაოდენობა გუნდში იქნება 3 ან მეტი.

კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორის გიორგი ნოზაძის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ტრამვირებული ჰყავდა 4 მოთამაშე, სადისციპლინო კომისიის მიერ არ იქნა მიჩნეული საპატიოდ, ვინაიდან :

- ✓ საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის III ქვეპუნქტის თანახმად საშეჯიბრო განაცხადი ივსება არანაკლებ 32 მოთამაშეზე და 4 მოთამაშის ტრავმირება არ უნდა გამხდარიყო თამაშზე არგამოცხადების მიზეზი.

კიკეთის „იუნკერები“-ს დირექტორის გიორგი ნოზაძის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება ზოგადად ასაკობრივი გუნდის პრობლემებს მოთამაშეთა ვარჯიშზე/თამაშზე დასწრების შესახებ, აღნიშნული წარმომადგენს გუნდის მენეჯმენტის სწორად დაგეგმვას და თითოეული გუნდი ვალდებულია საშეჯიბრო განაცხადის შემოტანის შემდგომ სეზონის ბოლომდე გათვალისწინოს გუნდის შეჯიბრში მონაწილეობის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან აღნიშნული არგუმენტი სადისციპლინო კომისიის მიერ არ იქნა მიჩნეული საპატიოდ.



სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.5 პუნქტის, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3 -ს მე-2 მუხლის მიხედვით და მიიღო შემდეგი

## გადაწყვეტილება

1. კიკეთის „იუნკერებს“ ჩათვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 10 დეკემბრამდე.
2. დაკისრებული ჯარიმის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კიკეთის „იუნკერებს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 4(ოთხი) საცხრილო ქულა.
3. კიკეთის „იუნკერებს“ მიეცეს გაფრთხილება და განემარტოს : **მატჩზე საპატიო მიზეზის გარეშე არგამოცხადების განმეორების შემთხვევაში გუნდი ავტომატურად მოიხსნება შეჯიბრებიდან და მისი შემდგომში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხი გახდება სრკ-ს შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი.**
4. თბ „ლელო“-ს ჩათვალოს მოგება, მიენიჭოს შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების რაოდენობა და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	02/12/2021
--------------------------	-------------------------	--------	------------

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.